კვირა, 16 პრილი 1917 წ.

რედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლლას ქუჩა, № 6.

ფასი 15

ეშეკილი

№ 16

მ ა თ რ ა ხ ი 1917

შინაარსი. ფალსიფიკატორები—**მორიელი.** შარადა—**კოლ.** პატარა ფელეტონი—**ნავიჩი** ბრძნული სიტყვები—**ნიკოლოზ მეორე.** თხოვნა ეშმაკისადმი—**კახი.** კრება—**გოგია.** გავლენა რევოლიუციისა—**სამართებელი.** **კარიკატურები.** მეგობრები, პაციფისტი, „შეერთებული" სამინისტრო ახალი გვარი, ნაშთი.

მეგობრები

თავ. ორლოვი. ძიაჯან! მიკვირს რაზე ნაღვლობ! თუ სიმართლეს ვიტყვით, ჩვენი დგომარეობა სულაც არ შეცვლილა: კავკასიაში ჩვენ საუზმეს ვჭამდით, საქმეს არაფერს ვაკეთებდით. აქაც მხოლოდ საუზმეს ვჭამთ და არაფერს არ ვაკეთებთ!

ფალსიფიკატორები

ისტორია.

„ეშმაკის მათრახის“ მე-15 ნომერში ჩვენ აღვნიშნეთ „ხალხის ერთობის“ ხელმძღვანელთა ფალსიფიკატორობა, როგორც ასეთი და გაკვრით მოვიხსენიეთ, რომ ქართველი „სოციალ-დემოკრატები“ ბ-ნი იოსებ იმედაშვილის ჯურისა ცოტა არ იყოს ისტორიიდან ვერ არიან მაინცა და მაინც ფაქიზათ გამოსულნი. ამიტომ ნება მეგბოძოს მე დღეს, თანახმათ დაპირებისა, გადავფურცლო ეს საისტორიო ფურცლები.

აი გადავშალოთ გაზეთი: **„ლამპარი“ № 33. 31 მაისი 1906 წლისა.**

ჩვენ აქა ვკითხულობთ:

„საპატიო ადგილი ფედერალისტთა და კადეტთა „კამარჯვების“ მიზეზთა შორის დაიჭირა ერთმა ვაჟბატონმა, რომელმაც არ ითაკილა **იუდა ისკარიოტელის როლი*) ეთამაშა.** ეს ვაჟბატონი გახლავთ ცნობილი იოსებ იმედაშვილი, რომელსაც თავი სოციალ-დემოკრატთ მოჰქონდა და საშინლათ აშლოდა საღერღელი თითონ არჩეულიყო დუმის წევრათ. სოციალ-დემოკრატია კი მას ღირსათ არა სცნობდა კანდიდატურა წამოეყენებია და აი ამან ათასმაშა ამ პატივ მოყვარე მდაბალ არსებაში იუდასებური მოდალატური ინსტინქტები. ხსენებულმა ვაჟბატონმა არჩევნების დროს ხელათ ზურგი უქცია სოციალ-დემოკრატებს და მასზე მინდობილ ამოშრჩეველ გლეხებზედაც გავლენა მოახდინა“.

აი, ისტორია ახლო წარსულისა. მას შემდეგ სულ რაღაც მეთერთმეტე წელიწადია.

ისტორიამ არ იცის, თუ რა მოსაზრებით ულალატა ქრისტეს ბ-ნმა იუდამ. მართალია, მაშინ პალესტინა რომის იმპერიას ექვემდებარებოდა, მაგრამ არავითარი საპარლამენტო არჩევნების შესახებ იქ ლაპარაკი არა ყოფილა. პირიქით კომისარი პილატე არც თუ დიდი აღტაცებით შეჰგებებია იუდას მიერ იესოს გაყიდვას და მის დასჯას. თუ არა ვცდები, მან ხელიც კი დაიბანა. ყოველ შემთხვევაში პატივცემულ იუდა ისკარიოტელს დეპუტატათ დაწუნების ნიადაგზე არ უღალატია ხალხისათვის, როგორც გაზეთი „ლამპარის“ ცნობით ჩვენს იოსებ იმედაშვილსა. ამგვარათ მამოძრავებელი მიზეზი ღალატისა აქ პატივმოყვარეობაა, იქ კი თითქოს ვერცხლის მოყვარეობა იყო და მიუხედავათ ამ მიზეზობრივი განსხვავებისა ჩვენ გვხიბლავს როგორც ერთგვარობა მოქმედებისა, აგრეთვე ერთსახეობა მომქმედ პირებისა.

—

დასაწყისი ისტორიისა თქვენ უკვე მოისმინეთ. აწ ყური ათხოვეთ მის დასასრულსა.

გაზეთი „ლამპარი“ № 34. 1 ივნისი 1906 წლისა.

„ჩვენს პარტიაში ადმოჩნდა იუდა — **იოსებ იმედაშვილი.** მოგითხრობთ მის სიზიზღარ ღალატის ისტორიას“.

აქ მოთხრობილია ვრცელი ისტორია იოსებ იმედაშვილის ღალატისა პატივმოყვარეობის ნიადაგზე:

„ხანგრძლივი თათბირისა და საბუთების წამოყენების შემდეგ ამხ. ი. რამიშვილმა დასურათა იოსებ იმედაშვილის მოდალატეობა და უწოდა მას „კაკვასიის კაპონი“. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ამომრჩეველთა და ამხანაგთა ჯგუფი ცნობს რა იმედაშვილს ნამდვილ მოდალატეთ, ადგენს: გამოუცხადოს მას თავისი ზიზღი ბოიკოტით და **განდევნოს რ. ს. დ. მუშათა პარტიიდან, როგორც გამყიდველი იუდა და ამხანაგების საზიზღარი მოღალატე**“.

ამგვარათ ფარდა ეხდება იოსებ იმედაშვილის დღევანდელ მოქმედებას. ის იჯმნა როგორც მოღალატე და ამხანაგების გამყიდველი **რ. ს. დ. მუშათა პარტიიდნა.** მას იქ ადგილი არ შეიძლება ექნეს, როგორც მოღალატესა და ამხანაგების ნდობით მოვაჭრეს. აი სწორეთ ამიტომ დაიარსა მან თავისთვის და მსგავსთა მისთათვის საკუთარი „ქართული ს. დ. პარტია“. აი სწორეთ ამისთვის გამოსცა მან ახალი გაზეთი „ხალხის ერთობა“.

მაგრამ ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია! იოსებ იმედაშვილი ახლაც ატყუებს და ღალატობს ხალხს. თავისს „სახალხო ერთობას“ მან ნაპარეული ლოზუნგი დააწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყ

*) „თივაში ცეცხლი არ დაიმალებაო“ ნათქვამია. ჯერ კიდევ ცხრაას ექვს წელში ეტყობოდა ნიჭი მსახიობისა ბ-ნ ი. იმედაშვილს, თუნდაც იუდა ისკარიოტელის როლებში. შემდეგ ხომ ის სათავეში ჩაუდგა ჩვენს „მელპომენას“.

ეშმაკი.

ნისა, შეერთდით“. თუ მართლა სახეში ახალი, თა-
ვისი პარტიის დაარსება ჰქონდა, უნდა წაეწერა:
„მოლალატენო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“
შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში ეს მოწოდება
შეესწორებია მას თანახმად ივანე გომართლის სურ-
ვილისა და დაეწერა: **„რენეგატებო, ყველა ქვეყ-
ნისა, შეერთდით!“** ამ შემთხვევაში ისტორიაც
დაცული იქნებოდა და სამართლიანობაც. არა
ვაქვს საკმაო საბუთი ასეთი საქციელი „ხალხის
ერთობის“ ავტორთა, მათი სიმორცხვით ავხსნათ.
მიტომ ჩვენ თითონ მოვუწოდებთ:

„რენეგატნო და გამცემელნო სრულიად სა-
ართველოისა, შეერთდით!“, რასაკვირველია გაზეთ
ხალხის ერთობის“ გარშემო!

მორიელი.

—

P. S. № 1. მიღებულია ზომები გადაიფურც-
ლოს ისტორია ბ-ნ გომართლის შესახებ და შედე-
ი მისი ახლო მომავალში მოხსენდეს საჯოჯოხე-
ოს.

—

P. S. № 2.—მოგვასწრო!

— ვინ?

— გ. ქუჩიშვილმა.

ის გაზეთ „ერთობა“-ში აცხადებს, რომ მას
აზეთ „ხალხის ერთობასთან“ არავითარი კავშირი
რა აქვს, რომ ლექსი „ზევსური“ გადასცა მან ი.
ედაშვილს ჟურ. „თეატრი და ცხოვრებისათვის“
ა უკვირს თუ საიდან გაჩნდა ლექსი „ხალხის ერ-
ობაში“.

ჰმ! უთუოდ ძლიერ გულუბრყვილოა ჩვენი
ყვარელი მგოსანი გ. ქუჩიშვილი! „ეშმაკის მათ-
ახის“ რედაქციას არჩეული ჰყავდა კომისარი გ.
უჩიშვილთან გასაგზავნათ, რომელსაც უნდა წაე-
თხა მისთვის შემდეგი ლექსი:

ძმაო გიორგი! (ფსევდონიმით ქუჩისაშვილო!)
ბა რასა ჭკვავს ეს ამბავი, კვარქვი უმაწვილო:
რა უნდა იქა შენთა ლექსებს, ტაეპ-ზევსურებს,
სად მოდალატე-რენეგატთა ვსჯვრეტთ კრძალთა
ყურებს?

მადლობა ჯოჯოხეთს, რომ კომისარის გაგზავ-
საჭირო აღარ დარჩა და თვით გ. ქუჩიშვილმა
ვასწრო.

მ—ლი.

ᲨᲐᲠᲐᲓᲘᲐ

ზოგიერთ ჩემსა მკითხველსა
მძლავრ ნაყვარება შარადა...
(რა იცის, წერა იმისი
თუ მაქვს დღეთ გასამწარადა!)

—

პირველი სიტყვა ნოტია
„დოს“ მიჯნათ მინაყოლები,
მი-ფა-სოლ-ლა-სით ზემოდან
დანატვირთ-დანაქოლები.
მოკლე სიტყვაა, როგორაც
სხვა მისი ამხანაგები.
(უმისოთ ძნელათ მოხერხდეს
სიმღერა მწყობრათ ნაგები.)

—

მეორე სიტყვა სამხედრო,
აღნიშნავს ურიცხვ ჯარებსა...
(იმისი ცოდნა მოჰკითხეთ
ძველ ქართველ სპასალარებსა).
მოკლეა სიტყვა, სხარტული,
მაგრამ სრულ არა გვჭირია,
ხმოვანი ასო იმისი
არს ჩვენგან გასაწირია.

—

მესამე სიტყვა, ცნებაა
ჩემი უსაზღვრო ტრფობისა.
მე სიყვარული იმისი
საფლავშიც თან ჩამყობისა.
არეა ვრცელი, სახისა
სიმშვენით შემამკობელი...
შეხედავ, მყისვე შეატყობ
თავი რისაა მპყრობელი.
ზოგს უჩანს ფართო, მაღალი,
მსგავსად სალი კლდის, თლილისა,
ზოგს ვიწრო, დაფერდებული,
(მსგავსათ იმედაშვილისა).
ძირს საზღვრათ უძევს წარბები,
ზემოთ თმა, ფერად გიშრისა,
(ვინც შარადისთვის მზრუნველობს,
ის პირველ ასოს მისჭრისა).

ჩვენთვის ოთხია საჭირო,
პირველი ასო ჭარბია...
(ხელმარჯვეთ უნდა ჩამოჭრა,
არ მიაყოლოთ წარბია).

—

ერთი პატარა ნივთია,
ფოლადის (ბატის ფრთისაცა!)
(ღმერთმა მას მისცეს დღე გრძელი,
უჭრიდეს იგი ვისაცა!)
ექვსი ანბანი შეადგენს
იმის მშვენიერ სახელსა
(ჩვენ წინა ორი გვჭირია,
სხვას კი მივუშვებთ მსწრაფლ ხელსა).

—

აი, აშენდა, დამშვენდა
სასახლე ჩვენი უბადლო...
არ ვიცი, ვფიცავ თქვენს სახელს,
მუშას, თუ სალდათს ვუმადლო.
არ მოველოდით ჩვენ იმის
არცა საძირკველს, არც ჭერსა,
არც კედლის ასაშენებლათ
მცირე აგურის ნაჭერსა.
მას ქარიშხალი დაჰქროდა,
შავი ღრუბელი ებურა,
ორთავიანი მტაცებლის
თავზე გვირგვინი ეხურა.
აკრძალულ იყო არა თუ
„რეალი“ მისი შენება,
არამედ ზეპირ სიტყვაში
მისი სახელის ხსენება.
მაგრამ დრო მიდის, ისწრაფის,
წელნი წელთ თანა ჰყობიან,
ზღუდენი მთავრობაძეთა
ულმობელ დაემხობიან
და მათ ნანგრევზე შეხედეთ
გულთა ჩვენთ გასახარადა
შენდება უცხო სასახლე,—
ეს ჩვენი ტურფა შარადა.

კოლო.

პატარა ფელეტ

ისტორიული სისულელე.

დიდი და ცნობილი პირები თავისი
უკვდავ საყოფათ და ისტორიაში გასამკვიდ
ხანდისხან წარმოსთქვამენ ხოლმე მრავალ
ლოვან „ისტორიულ“ აფორიზმებს.

მაგრამ მოხდება ხშირათ ისიც, რომ
მხიარულ ხასიათზე მოვა და სასაცილოდ
დიდ გვამთა ისტორიულსა და მრავალმნი
ვან თქმულებებს. ამგვარ მომენტებში ისტ
პირები „ცოცხალ გვამებათ“ იქცევიან და
ტორიული აფორიზმები კი ისტორიულ
ლეთ.

22 წლის წინეთ, მეფეთ ყოფილმა ნ
რომანოვმა, ლიბერალების შესახებ წარ
„ზოგიერთა მათგანს თავში დაჰბადებია
ოცნება სახელმწიფო საქმეებში მონაწილეო
დღეს კი ნიკოლოზ რომანოვი, როგორ
დროის უპასპორტო ებრაელი, ზის ტყვეო
ოცნებობს იმაზე, თუ როგორ გაუძვრეს
მცველებს. აი ნამდვილი „უაზრო ოცნებ

„ასე იყო, ასევე იქნება“-ო, წარ
ლენის მუშათა ჟლეტის შემდეგ მინისტრ
როვმა. რა იცოდა მან, თუ მოხდებოდ
რამ, რაიც არასოდეს არ მომხდარა? დღეს
ფილი მინისტრი პეტრე-პავლეს საპყრობ
და ფიქრობს შესახებ იმისა, თუ როგორ
ლათ და რა მოხდება მომავალში.

ერთხელ ცნობილმა მინისტრმა სტ
დუმის ტრიბუნიდან მემარცხენე დეპუტატ
დასძახა: „თქვენ გსურთ დიდი რევოლიუც
მინდა დიდი რუსეთი“-ო. სტოლიპინი მო
მა მოსამსახურემ და ის ძეგლი, რომელ
„ისტორიული სისულელე“ ეწერა, რევო
ნურმა ხალხმა აღგავა.

„ჯერ დაწყნარება და შემდეგ რეფ
გაიძახოდა შავრაზმული მთავრობა. ეს
ჯერ საველე-სამხედრო სასამართლოები
დეგ პროტოპოპოვი. ისტორიამ სხვაგარ

ერა რუსეთს განსაკურნავათ. ჯერ აღშფო-
და შემდეგ რევოლიუცია.
ველათ ცნობილმა გენერალმა დრაგომიროვ-
ადმოისროლა ერთი „ისტორიული“ აფორიზ-
რის შესახებ: „ჯოგი რუხი პირუტყვებისაო“.
ტყოდა ნეტავ გენერალი დღეს როს წითელი
ლიუციონური ჯარისათვის შეეხედა!!
უკაცრავათ, ჩვენ რუსეთს უბრძოლველათ
ოგითმობთო“, წარმოსთქვა დუმაში ცნობილ-
ტრაზმელმა მარკოვ მეორემ (ესეც მეორეა!)
ეს გმირი მებრძოლი სადღაც მიიმალა და ვინ
იქნებ ემზადება რომ ბრძოლით დაიბრუნოს
ი... რუსეთისაგან.
„მადლობა ღმერთს, ჩვენ ჯერ არა გვაქვს
ამენტი!“, მედიდურათ წარმოსთქვა ყოფილმა
ტრმა კოკოვცევმა. „მადლობა ღმერთს, ჩვენა
დემოკრატიული რესპუბლიკა“, უპასუხა
ტორიამ.
და თუკი სცოდნოდათ „ყოფილ“ ადამიანებს,
ისინი ასე მალე გახდებოდენ „ყოფილ“ ადა-
ათ, არც შეიწუხებდენ თავს ამგვარ „ისტო-
“ სისულელეთა თხზულებით. (რაბ. გაზ.)

ნავიჩი.

ბრძნული სიტყვები

ნიკოლოზ მეორისა

რუსეთის მწერლობაში არ არის საკითხი, რომ-
შესახებაც ისეთი გარკვეული აზრი და სრუ-
ანხმობა სუფევდეს, როგორიც არსებობს მე.
ოფილი ნიკოლოზ მეორის სიტყვათა შესახებ-
ტყვებს ყველა დროისა და ყველა ქვეყნის
ვინოსნები ამბობდენ, მაგრამ ისეთი ღრმა აზ-
სეთი სხვადასხვაობა, ისეთი შორსმჭვრეტე-
, როგორიც ნიკოლოზ მეორის სიტყვებში
ეფს, ჯერ გვირგვინოსანთაგან არავის გაუგონია.
აისმის მხოლოდ ერთი საყვედური, (თუმცა
საერთოდ) რომ მეფედ ყოფილის სიტყვები
რესად იწყება: **„მე ვსვამ!“** ეს მართლაც
ასეა, მაგრამ ვის არ ახსოვს ისტორიული
ები დიდი მთავრის ვლადიმირისა, რომლი-
ან გაისტუმრა მაჰმადის სარწმუნოების მო-
ნი და სავსებით ეუფლა მართლმადიდებლობას?

მართლაც ახირებულია ეგ საყვედური! მთელი რუსეთი „სვამდა“ იმ ნეტარ დროში, სვამდა თავ-დავიწყებით, დღიან-ღამიან და ნუთუ მეფეს უნდა ელალატნა ამ ტრადიციისათვის? ჩვენი ღრმა რწმენით, სწორეთ ამ „სმაში“ გამოიხატება მთელი სიდიადე და თავისებურობა ნიკოლოზ მეორის სიტყვებისა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ მკითხველი თითონაც ჩინებულათ დააფასებს იმ სიტყვიერ განძს, რომელიც დასტოვა ძვირფასმა მონარქმა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ.

პირველი სიტყვა ნიკოლოზ მეორემ წარმოსთქვა 1894 წლის 31 ოქტომბერს ქ. მოსკოვში. თავად აზნაურთა, ვაჭართა და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებს მან შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„მიმძიმს მოსკოვში ყოფნა, რომელიც ასე უყვარდა ჩემს დაუვიწყარ მამას. მაგრამ მე და დედოფალი ნუგეშსა ვპოებთ ცრემლებში, რომლებსაც ღვრის მთელი რუსეთი ამ განცდის დღეებში. ღმერთი იყოს ჩემი შემწე, რათა ვემსახურო ჩვენს საყვარელ სამშობლოს, ისე, **როგორც ჩემი ცხონებული მამა**“

(„მთავრ. მოამბე“ 1894 წ. № 239).

17 იანვარს თავადაზნაურთა, ერობათა და ქალაქების წარმომადგენელნი შეიკრიბენ მეფის სასახლეში. მეფე მათ შემდეგი სიტყვებით მიესალმა:

„მე მოხარული ვარ ვიხილო ყველა წოდებათა წარმომადგენელნი, რომელნიც უქვეშევრდომილესი გრძნობის გამოსათქმელათ მოსულან. მრწამს ამ გრძნობათა წრფელობა. მაგრამ **ისიც ვიცი, რომ ზოგიერთ ერობაში ამ უკანასკნელ ხანებში გაისმოდა ხმები ზოგიერთ უაზრო მეოცნებეთა, რომელნიც მოუწოდებენ ერობათა წარმომადგენლებს მონაწილეობის მიესალებათ სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქმეებში.** დეე ყველამ იცოდეს, რომ მე მთელ ძალ-ღონეს ვახმარ ხალხის კეთილ დღეობას და თვითმპყრობელობას (ხაზი ჩვენი გასმულია) დავიცავ ისე მტკიცეთ, და შეურყევლათ, როგორც მას იცავდა დაუვიწყარი ჩემი მშობელი“. (მთავრობის მოამბე 1895 წ. № 14).

15 აგვისტოს ავსტრიის იმპერატორ ფრანც

ოსებთან ნიკოლოზი სტუმრათ იყო. სადილის დროს საპასუხო სიტყვაში სთქვა:

„მადლობას გწირავთ, თქვენო უდიდებულესობავ, იმ პატივისათვის, რომელიც გამიწიეთ. **მე ვსვამ** სადღეგრძელოს ავსტრიის მეფისა და დედოფლისა“. (მთავრობის მოამბე 1896 წ. № 180).

ბრესლავში (25 აგვისტოს) იმაერატორ ვილჰელმის საპასუხოთ ნიკოლოზმა სთქვა: (ფრანგულათ).

„გმადლობ, თქვენო უდიდებულესობავ, წარმოთქმული სიტყვებისათვის და აგრეთვე იმ პატივისათვის, რომელიც მე მეცით ბრესლავლში შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მე იმავე ტრადიციული გრძნობებითა ვარ გამსჭვალული, როგორც თქვენი უდიდებულესობა. ვსვამ თქვენი უდიდებულესობისა და დედოფლის სადღეგრძელოს. ურა! (მთავრ. მოამბე 1896 წ. № 188).

პარიზში, 25 სექტემბერს 1896 წ. პრეზიდენტთან სადილობის დროს მეფემ სთქვა:

„ვსვამ საფრანგეთისა და მისი პრეზიდენტის სადღეგრძელოს“. (მთავარ. მოამბე 1896 წ. № 211).

9 ნოემბერს 1896 წ. ლეიბ გვარდიის ეგერთა პოლკის დღესასწაულზე მეფემ სთქვა:

„ვსვამ სადღეგრძელოს სახელოვანი ლეიბ გვარდიის ეგერის პოლკისას, ურა“; (მთავრ. მოამბე 1896 წ. № 247).

29 თებერვალს 1896 წ. ნოვოჩერკასის პოლკის დღესასწაულზე მეფემ წარმოსთქვა:

„ვსვამ ჩემი ძვირფასი პოლკის სადღეგრძელოს, გაგიმარჯოთ **ბატონებო!“** (მთ. მოამ. 1896 წ. № 261).

15 აპრილს 1897 წ. ავსტრიის იმპერატორის მიღების დროს სადილზე მეფემ სთქვა:

„ბედნიერი ვარ თქვენი უდიდებულესობის აქ ბრძანებით, რომელიც საუკეთესო თავდებია იმ წრფელი მეგობრობისა, რომელიც ჩვენ გვაერთებს. **მე ვსვამ** სადღეგრძელოს თქვენი უდიდებულესობის, დედოფლისა და მთელი თქვენი ოჯახობისა“. (მთ. მ. 1897 წ. № 84).

სიამის კაროლს სადილზე 22 ივნისს მეფემ ასე მიმართა:

„ვსვამ სადღეგრძელოს მისი უდიდებულესობი, სიამის კოროლისას.“ (მთ. მ. 1897 წ. № 139).

26 ივლისს გერმანიის იმპერატორს სადილის დროს უთხრა:

„თქვენი უდიდებულესობის და თქვენი ოჯახობის სტუმრობა ფრიად დიდ სიამოვნებას იწვევს ჩემში. ეს თავდებია ჩვენი მეგობრული განწყობილებისა და კეთილ მეზობლური განწყობილებისა. **მე ვსვამ** სადღეგრძელოს მისი უდიდებულესობის გერმანიის იმპერატორისა, მისი მეუღლისა და ოჯახობისა“. (მთ. მოამბ. 1897 წ. № 166).

11 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტს ფარუს სადილზე შემდეგი სატყვებით მიმართა მეფემ:

„ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს, ბატონო პრეზიდენტო, გაუმარჯოს საფრანგეთს“. (მთ. მ. 1897 წ. № 178).

მოსკოვის თავადაზნაურთა წინამძღოლის სადღეგრძელოს საპასუხოთ მეფემ სთქვა:

„დედოფალი და მე გულითად მადლობას გწირავთ მიღებისა და პატივისცემისათვის. **ვსვამთ თავადაზნაურობის** სადღეგრძელოს და ვუსურვებთ მას კეთილდღეობას და აყვავებას, ურა!“ (მთ. მ. 1900 წ. № 84).

(დასასრული იქნება)

თხოვნა ეშმაკისადმი

(წერილი ტრაპიზონიდან).

ბ-ნო ეშმაკო! მართალია ეს ლექსი განსვენებული მთავროგაძის სიცოცხლეში დაწერილია, მაგრამ მის უდროვოთ გარდაცვალებას არაფერი ცვლილება არ მოუხდენია*). მუშების მდგომარეობა ჯერ-ჯერობით ისეთივეა, როგორც იყო და დარჩება კიდევ რამოდენიმე ხანსაც, ხოლო მიმოსვლის და „პროპუსკების“ საქმე არა თუ გაუმჯობესდა, პირიქით უფრო გაძნელდა და გაუარესდა. თუ შესაძლოთ სცნოთ გთხოვ დაბეჭდოთ.

ამბობენ: «ბაბმა თუნდაც რომ გასძლოს იმდენი წელიო
მეტი სიბერით სამათაც რომ მოეკაკვოს წელიო,
თანახმათ ტრადიციისა ის მაინც ისე კვდებაო,
რომ ვატიკანის სასახლეს გარეთ ვერ გასცილდებაო».
ახლა შენ, ჩემო ეშმაკო, შეგკითხავ ერთსა რამესა:
(ნუ იუცხოვებ ამ კითხვას, ნურც იწყენ სითამამესა)
რომ ვერ შორდები ამ თფილისს, სარ ვით ტუვე დამწუვდეულია,
ერთი მიბრძანე, ხომ არ სარ მანდ ბაბად არჩეულია?
რა გიჭირს, მიხვიდ-მოხვიდე, ნახო ვინ რისა მქნელია,
ვინ ეტრფის მზისა სინათლეს, ან და ვის უყვარს ბნელია?
კი, თუმცა კორესპოდენთგან მოგდის ცნობები ხშირია,
(მადლობა ღმერთსა, შენ მათი მოძებნა არა გჭირია.)
მაგრამ სად თვალით ნახული, სად სხვისი ნაამბობია,
ხომ იცი, ასჯერ გაგონილს ერთჯერ ნახული სჯობია.
ჰო და გთხოვ ახლა როგორმე ჩვენთაკენ გამოიარო,
და ჩვენი ჭირი-ვარამი ცოტა შენც გაიზიარო.
მხოლოდ გასხოვდეს, თუ კი რომ იქმნე აქეთკენ მსვლელია,
ესე სამგზავრო პროგრამა არ დაგრჩეს უსწავლელია:
ჩაიცვი მუშის ხალათი, (გაიმვრე ბიდჟაკ-ფრაკეა)

---

*) მხედველობაში მაქვს მხოლოდ ტრაპიზონში მეოთი მუშების მდგომარეობა.

კ—ი.

პაციფისტი



ამერიკელი პაციფისტი მიისწრაფის ევროპისაკენ, რათა ჩააქროს ომის ცეცხლი.

სოფლელი გლეხის კილოზე დაიწყე ლაპარაკია.
არ გინდა ბარი, ნიჩაბი, არცა წერაქვი-თოხია,
შეჭკარი ძველი საბანი, შიგ გაუყარე ჯოხია,
გაიდე მხარზე, წამოდი ვით საქმის მაძებარია,
ვით შინ გრჩებოდეს მშიერი ცოლი და ექვსი ბღარია.
სადგურზე მოდი, აიღე ბილეთი ბათუმამდია,
მესამე კლასში ჩაჯექი მეორე ზარის ხმამდია,
ბევრი შეგხვდება გზა და გზა «ძმაკაცი», მეგობარია,
სათნოებითა «აღსავსე» ენა ტკბილ მოუბარია,
თუ ვინმემ გითხრას გაეოლა, არავის დაუვე ნებასა,

„სატირიკონი“



უოფილი მინისტრი. აი ახლა გავიგე, თუ რას ნიშნავს «შეერთებული სამინისტრო».

ახალი გვარი

ივანე გომართელი. ხაჩეინ ჯან! ახლა რომელი გვარი უნდა ატაროთ?

იოსებ იმედაშვილი. არ იცი? მაშ ახლა მაინც დაიმახსოვრე **კარქა მე ლეონიძე** ვარ. იმანაც ცოტა წაუღალატა „სამშობლოში“ და სრულიად წმინდათ არც ჩემი საქმეა.

თორემ ელოდე თფილისში გაფცქვნილი დაბრუნებასა.
ნატანებს ქვევით მოგკითხავს «ჰროჰუსკსა» გზისა მთავრობა,
შენ კი მის უქონლობისთვის ოდნავ არ იწუო მჯავრობა,
ერთსა ხუთიანს აჩუქებ იქ ვინც წესრიგის მცველია,
და ასეთ ზომას მოუვება შედეგი სასურველია.
როცა ჩამოხვალ ბათუმში უშიშრათ, არხეინათა,
იქ დარისპანის «ნომრებში» მიდი უთუოდ ბინათა.
თუმც ბევრი სალსი დაგხვდება, მაგრამ შენც დაეტევია,
იქ მლიერ კარგი ბინაა ღამისა გასათევია.
ლოგინი სუფთა გექნება, არ მოგეცხება ჩირქია,
ქვეშ კარგი სუფთა ცემენტი, სასთუმლად მსხვილი ჯირკია,
და შენი ძველი საბანი ზევიდან სასურავადა
(მხოლოდ ზეწარი გეკლება, ამაზე უკაცრავადა.)
საჭმელი ნაირ-ნაირი, გინდ ცივი, გინა ცხელია,
ფასი სომ ჩალის ფასია, არც კია გასამხელია.
აქ ნახავ ბევრსა აღებსა ღიპ-კისერ ჩასუქებულსა
მუშების ტაკვის ძრობაში მრავალ გზის უკვე ქებულსა.
აგრეთვე ბევრსა მუშასა აქედან გამოსულებსა,
ტრაპიზონისა მოდაზე კუდამდის გაქუცულებსა.
აქედან კიდევ ჩვენამდის შენ კვლავ «ჰროჰუსკი» გჭირია.
(ოჯ იმის მომგონს გაუჩნდეს ახიის შავი ჭირია.)
დაიწყე «სტროიტელსტვოში» ეოველ დღე სიარულია
(იქ ერთხელ მისვლა არ კმარა, ოცი დღე გინდა სრულია.)
თუ «აჭმევ» ბლომათ იქ იმას, ვისაც რომ საქმე ესება
მეოცე დღეზე როგორმე ელირსო «ჰროჰუსკს» ეგება.
როცა გამოხვალ «ჰრისტანზე» იქ არის ერთი კაცია
მოხელის როლსაც ასრულებს, ტაზე მუნდირი აცვია.
ცხვირი აქვს უნაგირივით, თვალები როგორც ქორია,
ფეხები კარიკატურის, ღიპი ვით მაშკა ღორია.
სდგას იგი გემის კიბესთან და მასზე ამსვლელ მუშებსა
თითო თუ მაგრა არ წაჭერა, ისე არავის უშვებსა.
შენც ვერ ასცდები ამ სასჯელს, მაგრამ იეავი ჩუმათა,
(ვინც დასძრა კრინტი, მას ერთზე სხვაც ბევრი წამოუმატა.)
როს ახვალ ზევით, ნახარჯის იქ შეადგინე ჯამია,

ნახავ, რომ მთელი ორი თვის მოგება შეგიჯამია,
(შენსავით ყველა მუშებსა, ვინც აქეთ მომავალია
გაცდენის გარდა ედება თითოს ამდენი ვალია.
მაგრამ არ სწუხან არაფერს, მოდიან უდარდელათა
ფიქრობენ ნაცდენს და გზის ხარჯს აქ მიიღებენ მთელათა.
თუმც ჭირდებიან აღები (ამლევენ «მტკიცე» სიტყვასა)
ნახევარ ქირის მიცემას ხარჯის არ გამორიცხვასა,
მაგრამ არაა მართალი არ მოკვდეს ჩემი თავია
ჯორია ისევ მათგანვე მოგონილ შენათხზავია.)
აქ თუ ცოცხალი გამოხველ, საქმე «თუ»-ზეა იცოდე)
და ვერ დაგიხვდე ვით შეგფერს, უკანასკნელი მიწოდე.
ნავთსადგურიდან წაგიყვან ნესტორის «სასტუმროშია»
იქ ისეც წავალთ იოლად თუნდაც არ მქონდეს გროშია.
ესეც არ იყოს, თუ გინდა, მაინც აჯობებს ასეა
რადგან აქა გვაქვს ჩვენ «ბირჟა» და «ჰერესილნი ჩასტია»
აქ შენ ბევრს ნახავ მუშებსა ახლობლებს-შორეულებსა
იმედებ გაცრუებულებს, თვალზე ცრემლ მორეულებსა.
ბევრსაც სახლისკენ მიმავალს, ტაბელში ამოშლილებსა,
და აქვე გემის ლოდინში ჯიბეებ გამოცლილებსა.
იმ ღამეს მათი ყურებით გაიგებ უკვე, მგონია:
რას წარმოადგენს, •რას ნიშნავს მუშისთვის ტრაჰიზონია.
მეორე დილას კი აქვე დავტოვოთ შენი ბარგია,
გავიდეთ ვნახოთ ბულვარი ეს ჩვენი «ჰაიდპარკია»
აქ არის ხალხი მრავალი გიორგიელთა ტომია,
რიგი ჯგუფ-ჯგუფათ მავალი, რიგიც სკამებზე მჯდომია.
ზოგს ეროვნულათ აცვია, ზოგს ხურავს ცილინდრ-ქოკია,
გთხოვ რომ იცნობდე ეს ხალხი გახლავს აღების ჯოგია,
აქვეა კაფე «კრისტალი» მშვენივრათ მოწყობილია,
შიგ კარგი ყავა, რძე, ჩაი, და «ჰიროჟკები» ტკბილია.
აი აქ არის იცოდე იმათი «გლავნი» შტაბია
ვისაც რომ ჩვენსა გაფცქვნაში «მასივნი» გოგრა აბია.
შევიდეთ შიგნით იქ მეოფთა ბაასს დავუგდოთ ყურია,

თანაც ესვათ «მეტალიკოსი»*) ვით კარგი მონაწეურია.
ვნახავთ: ზოგს სალაპარაკო საგნად აქვს მხოლოდ ქალია,
ზოგს «ატკოს-ჰოგონ-კუბიკი, გორიზონტ-ვერტიკალია.»
ზოგი ან აქებს ინჟენრებს, ან არის ძაგებაშია,
ვინაც ასრულებს მთავარ როლს მოგება წაგებაშია.
ან მუშა ზედმეტ შრომაში ვის უფრო დანაღვლებია,
ან სადაური მათგანი ადვილი გასაუვლეფია.
სამი საათი აქ ეოფნით შენ უკვე გეცოდინება
მთელი ამათი «სეკრეტი» თუ ვინ რას ეჰოტინება.
ან და რომელი მათგანი საჯოჯოხეთო გვამია
გაიმვერობით ცნობილი და სახელ განათქვამია.
შემდეგ კი წასვლა სჯობია დავკრათ მესამე ხარია
ავდგეთ და გამოვიხუროთ კაფე «კრისტალის» კარია.
დავსტოვოთ ესე ქალაქი, ვქნათ სოფლისაკენ ჰირია
ვნახოთ იქ მეოფი მუშები რა «სორტი», რანაირია.
აქ კი მერწმუნე დაგხვდება ისეთი სურათებია,
რომ მეტი სიხარულისგან გამოგესხმება ფრთებია.
უთანხმოება ურთ-ერთში, მტრობა-ქიშპობა, შეღლია,
თვისი „მე“ ახსოვს ყველასა, სხვას თუნდ თავი ქვას უსლია.
არიან ჰატარ-ჰატარა ჯგუფებათ დაეოფილია
მათგანს ვერ ნახავ, რომ იეოს მეორით კმაეოფილია.
ხიდი, კავშირის, ერთობის მათ შუა ჩატეხილია,
ძმობა და სოლიდარობა იმათთვის უცხო ხილია.
არც ის გეგონოს, რომ ვითომ იცოდენ სტუმრის ეადრია
და როგორც შუა ახალი მოიღონ შენი ხათრია.
თუნდაც რომ იეო სიცივით გათოშილ გაეინულია
სამი დღის უჭმელობისგან გიღონდებოდეს გულია,
არ გექნეს მათი იმედი, ნუ ფიქრობ ნურცა ელია,
ჭირში მეოფ მოძმეს რომ ძმურად გამოგიწოდონ ხელია.
სხვა და სხვა აღის «ქვეშევრდომთ» ისე სწამთ ერთმანეთია,
ვით ოთხთა შეთანხმებასა ავსტრია-გერმანეთია.
ალთას რომ მიდის გიგოლა, ბალთას მიიწევს მათია.

---

*) მეტალიკოსი—რკინის წვალია, რომელიც აქ ეოველ საკვესა და რესტორანებში იყიდება.

«გათიშვა დანაწილება!» აი დევიზი მათია.
ასე რომ მეტი მათგანი გამხდარა მონა შენია,
ვისთვისაც დიდხანს ღიაა ჯოჯოხეთისა ბჭენია.
სხვა წვრილმანებზე ალარ ღირს წერა და ლაპარაკია,
შენი თვალებით იხილავ აქეთ გამოხვალ რაკია.
შემდეგ კი ჰრაპუსკს ავიღებ (იმედი გქონდეს ჩემია)
და შენი გუდა ნაბადით მოვინახულოთ გემია.
გზას მშვიდობისას გისურვებ, ღიღინ-ღიღინით წადია,
მეტს აქეთ არც კი მოიხედ მრავალი წელიწადია.

კახი.

P. S. ლექსი უკვე მზათა მქონდა მე ამბავი მომივიდა
რამაც შვებით სავსე გულზე ცეცხლის ალი მომიკიდა
«ბიუროკრატ მთავრობოვი და ცენზორროვ ცენზორიო
დაგვესოცნენ, დავიღუპეთ ალარა გვეავს ეს ორიო.»
ეშმაკ-კოღო-მორიელო, გიცხადებთ ჩემს თანაგრძნობას
ვფიცავ მთელსა ჯოჯოხეთსა, ვფიცავ თქვენსა ერთგულ ძმობას,
რომ ამ ცნობამ, საზარელმა, მეც თქვენსავით დამალონა
და თქვენსავით ცრემლებს აფრქვევს უმდაბლესი თქვენი მონა.

კახი.

კრება

სცენა I მოქ.

მომქმედნი პირნი:

1. თავმჯდომარე
2. ულაპაძე (ლოთი)
3. მეზურნე
4. იზვოშჩიკი
5. კარმანჩიკი
6. მიკიტანი

(კრების უმრავლესობას შეადგენს ლოთები)

ულაპაძე. ყველა ხარობს და იცინის;
მტერ-მოყვარე, მამა, შვილი,
ჩვენ კი კუთხეს მიგდებული
ვდგევართ გულხელ დაკრეფილი!

—

დღე დღეს მისდევს, კვირეს კვირეს
და თვეებიც მარდათ გადის,
მაგრამ ამ ჩვენ სტომაქებში
წვეთი ღვინო ალარ ჩადის.

—

სული შფოთავს და გული სწუხს,
კუჭი გახმა, გაიფიტა,
დადნა ქონი, გახმა კანი
და გავთხელდით, ვით ფირფიტა.

—

საქართველოს შვილები ვართ,
ქრისტიანი, გვცხია ზეთი,
როგორ გავძლოთ ჩვენ ულვინოთ
ისე რომ არ ვყლაპოთ წვეთი?

—

ვთხოვოთ ნოვი „პრავიტელსტვას“
მოგვცეს ღვინის ყიდვის ნება,
ნეუჟელი, მეგობრებო,
არ გსურთ პირის გასველება?!

—

მიკიტანი. მართალია, ვაშა, ვაშა!
დაიყვირეთ, ხალხნო, ჰრავა!
თუ ყველანი ერთათ ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

მეზურნე. (ლოთებს)
თქვენ ტაფაში ვიწვით ჩვენცა:
მეარღნე და მეზურნები,
მხარი მივცეთ ერთმანეთსა
დღეს ყველანი ვართ ჩვენ ძმები.

—

ჩვენ შუაზე უნდა გავყოთ:
მთელი ჭირი, მთელი ელდა,
თქვენ თუ კუჭები გაგიხმათ
ჩვენ ხომ ჯიბეც შეგვითხელდა.

—

ვის რათ უნდა ჩვენი ზურნა,
არღანი და დიმპლიპიტო,
თუ არა აქვს ჩაყლაპული,
ბოთლი ღვინო, მაინც თითო.

—

მოითხოვეთ, ხალხნო, ერთათ,
რომ ღვინო იყიდებოდეს
და დუდუკი ძველებურათ
ეშხში, ჰანგებში კვდებოდეს.

—

მიკიტანი. მართალია, ვაშა, ვაშა!
დაიყვირეთ, ხალხნო, ჰრავა!
თუ ყველანი ერთათ ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

—

იზვოშჩიკი. ჩვენც მხარს გიჭერთ, მეგობრებო,
მეეტლენი ქალაქისა,
რაც რომ ღვინო გადავარდა
სულ მთლათ დაგვეფუკა ქისა.

—

ფხიზელი და დარდიმანდი
ვის უნახავს, ვის შეჰყრია,
რედაქტორ და გაზეთჩიკში
სასარგებლო სიქვით, რა ჰყრია?!

—

აღარ არის ძველებური:
ხეირი და გამორჩენა
და ამიტომ გიერთდებით,
ყველა მეეტლენი თქვენა.

—

მიკიტანი. მართალია, ვაშა, ვაშა!
დაიყვირეთ, ხალხნო, ჰრავა!
თუ ყველანი ერთათ ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

—

კარმანშჩიკი. ყველა თქვენსას ამბობთ, ძმებო,
მოისმინეთ ერთი ჩვენი,
თქვენ ხუმრობა არ გეგონოთ,
გვითენდება შავი დღენი!

—

მშიერია იზვოშჩიკი,
მეზურნე და არღანჩიკი,
მაგრამ რატომ არ იკითხავთ
რა დღეშია „კარმანჩიკი“?
კარგათ იცით რომ ფხიზელსა
ჯიბეს მაგრათ უდევს ხელი,
ვერ ვუდგებით თითი ჩავყოთ,
ასაწაპნათ არის ძნელი.

—

ეს რა გვიყო ამ ერთობამ,
გაგვითენა შავი დილა,
უღვინობა ქვეყანაზე
სად თქმულა, სად გაგონილა?!

—

მიკიტანი. მართალია, ვაშა. ვაშა!
დაიყვირეთ, ხალხნო, ჰრავა!
თუ ყველანი ერთათ ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

—

თავჯდომარე. (ორატორებს)
მოვითხოვოთ და ვიყვიროთ,
შევარყიეთ ქვეყნის ბჭენი.
გთხოვთ კრებას წარმოუდგინოთ
რეზოლიუცია თქვენი.

—

ულაპაძე. ვინ არ იცის შავი ღვინით
გული როგორ ცხრება, სტკბება,
ბატონებო, გთხოვთ ჩემ სიტვვებს
მიაქციოთ ყურადღება.

—

ლოთები. (ერთად) დიახ, დიახ, შავი ღვინო,
იმან იცის შვება, ლხენა,
გაუმარჯოს იმის დამწურს,
იმას ვენაცვალეთ ჩვენა.

—

ულაპაძე. ბატონებო, კარგათ იცით,
მაგარია ყურძნის წვენი,
ცოტა ვსთხოვოთ პრავიტელსტვას,
რომ არც ის დარჩეს ნაწყენი,

—

ცოტას რომ ვსთხოვთ, მე მგონია,
თანაგრძნობა მოვიპოვოთ,
ჯერჯერობით დღეში კაცზე
სამი ბოთლი მოვიპოვოთ.

—

ლოთები—მართალია, ულაპაძეჯან,
შენგნით ველით, ძმობა, შველას,
კარგი არის, ჩინებული,
სამი ბოთლი დღეში ყველას!

—

მიკიტანი—ეხ, რას შვრებით, გონზე მოდით,
ნუ სტყუვდებით, ხალხნო ჭკუით,
ჩემი აზრით ნადა ბუდიტ
ეშჩო ბოლში პატრებუიტ.

—

შევარცხვინე ისეთი სმა,
თუ ვერ იგრძნობს: სული, გული,
არ გინდათ რომ დაასველოთ
კუჭი გამხმარ-გაფიტული?!

—

მეზურნე—თუ რომ საქმეს ვკიდებთ ხელსა,
ისე ვქნათ რომ ღირდეს შრომათ,
რაც მეტია ის აჯობებს,
მოვითხოვოთ ბარემ ბლომათ.

—

მიკიტანი—მართალია, ვაშა, ვაშა!
დაიყვირეთ, ხალხნო, პრავა!
ყველანი თუ ერთათ ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

—

ულაპაძე-მე ვშიშობ რომ არ დავმრცხდეთ,
თორემ მე რა მენაღვლება,
თქვენზე ნაკლებ, ბატონებო,
ღვინო არც მე მენატრება.

—

ლ-ბი—ბლომათ, ბლომათ მოვითხოვოთ,
რაც მეტია არის კარგი...

—

მიკიტანი—ეგრე, ეგრე, გენაცვალეთ,
შევისრულოთ დანაკარგი!

—

თავმჯდომარე—ბატონებო, გაიგონეთ,
ყური მიგდეთ, იყოს სმენა,
ისე ნარდათ მოვითხოვოთ
ამას ამბობთ მგონი თქვენა?

—

ლოთები—დიახ, დიახ ბლომათ გვინდა,
გავიხსენოთ ძველი რჯული,
შემოვძახოთ ბაიათი
და ვახაროთ ჩვენი გული.

—

მიკიტანი—მართალია, ვაშა, ვაშა!
დაიყვირეთ, ხალხნო, პრავა!
თუ ყველანი ერთათ ითხოვთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

—

თავმჯ.—მაშ ეგრე ვქნათ, ბატონებო,
ავისრულოთ ჩვენ სურვილი,
ვეცდები რომ გავიმარჯვო
და მოგიკლათ თქვენ წყურვილი.

—

ჯერ-ჯერობით დავიშალოთ
და დავხუროთ ჩვენი კრება,
მერე ყველას მოგახსენებთ,
თუ ჩვენ თხოვნას რა მოყვება.

—

ყველანი—გაუმარჯოს თავმჯდომარეს,
გულუხვსა და ბარაქიანს,
გაუმარჯოს წითელ ღვინით
სავსე ლამაზ ჩარექიანს!

—

მიკიტანი—ეგრე, ეგრე, გენაცვალეთ,
დაიძახეთ: პრავა, პრავა!
ყველა ერთათ რომ იყვირებთ
თქვენი თხოვნა უცებ გავა.

გოგია.

ნაშთი



— აი რა დარჩება უკანასკნელი ტირანისაგან!..

რედაქტორი თ. ბოლქვაძე. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ. № 1.